

თედო უთურგაიძე

რთულ სიტყვათა მართლწერისათვის (მართლწერის ნორმები დეფისის ხმარებასთან დაკავშირებით)

I. დეფისიანი რთული სიტყვები

1. თუ რთულ სიტყვებში კომპონენტები განეკუთვნებიან ერთსა და იმავე მეტყველების ნაწილს და ინარჩუნებენ თავ- თავის ლექსიკურ მნიშვნელობას, მათ შორის დეფისი დაიწერება:

(ა) არსებითი სახელი + არსებითი სახელი:

ბარ-ნიჩაბი, ცელ-ნამგალი, ხმალ-ხანჯალი...;

(ბ) ზედსართავი სახელი + ზედსართავი სახელი:

შავ-თეთრი, წითელ-ყვითელი, შავ-ლურჯი...

(გ) რიცხვითი სახელი + რიცხვითი სახელი:

ორ-სამი, ოთხ-ხუთი, ოცდახუთ-ოცდაექვსი...

მეორე-მესამე, მესამე-მეოთხე, ოცდამეხუთე-ოცდამეექვსე...

მეორედ-მესამედი, მესამედ-მეოთხედი, მეოცედ-ოცდამეერ-

თედი...

1. 1. თუ კომპოზიტის **პირველი წევრი** არის **თანხმოვანფუ-
ძიანი სახელი**, სახელობითი ბრუნვის **-ი** სუფიქსს მოიკვეცს;

1. 2. თუ კომპოზიტის **პირველი წევრი** არის **ხმოვანფუძია-
ნი სახელი**, ფუძისეულ ხმოვანს არ დაკარგავს (გამონაკლისია **დედ-მამა; შდრ. დედა-შვილი**).

(დ) მასდარი + მასდარი:

**ტირილ-ყვირილი, გუგუნ-გრიალი, სიხარულ-აღფრთოვანე-
ბა...** (იხ. 1. 1.);

(ე) მასდარი + მასდარი:

სწავლა-განათლება, ქება-დიდება, დაზვერვა-ძიება (იხ. 1. 2);

(ვ) თუ სიტყვა მეორდება (სახელი + სახელი):

**გუნდ-გუნდი, ზოგ-ზოგი, წითელ-წითელი, ცალ-ცალი,
ერთ-ერთი, სამ-სამი...** (იხ. 1. 2);

ხროვა-ხროვა, ცხრა-ცხრა, კობტა-კობტა... (იხ. 1. 2);

(ზ) თუ სახელები იღებენ ზმნისართის მნიშვნელობას, ორივე კომპონენტი უცვლელად იხმარება **ფუძის სახით** ყველა ვითარებაში:

სოფელ-სოფელ, ქალაქ-ქალაქ, მთა-მთა, ქუჩა-ქუჩა...

(წ) თუ კომპოზიტში შეერთებულია ერთი ფუძის სხვადასხვა ზმნისწინიანი მასდარის ფორმები, პირველი კომპონენტები კარგავს მასდარის **-ა** სუფიქსს:

(წ1) უთემისნიშნო მასდარი: **მიწერ-მოწერა, მიზან-მოზანა, მიფხეკ-მოფხეკა...**

(წ2) თემისნიშნიანი მასდარი: **მიგდ-მოგდება, მიშენ-მოშენება, მიდგ-მოდგმა, მიწყ-მოწყობა, მიმალ-მომალვა...**

(წ3) თავისებურებას იჩენენ **-ო** თემისნიშნიანი ზმნები: **-ო** თემის ნიშანი არც ბოლო კომპონენტში რჩება: მითლ-მოთლა (შდრ. მოთლის), მიშლ-მოშლა, მიჭრ-მოჭრა...;

(თ) სხვადასხვა მწკრივის **პირიან ფორმებში**, პირველ კომპონენტში, თემის ნიშნის გარდა, იკარგება მომდევნო ყველა ფლექსიური ნიშანი, როგორცაა: **სავრცობი, კაუზაციის სუფიქსური ნიშანი, პირისა და რიცხვის ნიშნები.**

(თ1) სავრცობიანი ფორმები კომპოზიტში: გადაწერ-გადმოწერდა, გადაიწერ-გადმოიწერებოდა, მიითეს-მოითესებოდა;

(თ2) პირველ კომპონენტში **იკარგება პირის ნიშანი**, შდრ.: მიზან-მოზანს, მიზან-მოზანა;

(თ3) თემის ნიშანთან ერთად **იკარგება მწკრივის ნიშანი**: მიზან-მოზანდეს, მიზან-მოზანოს, მიუზან-მოუზანია;

(თ4) იკარგება **რიცხვის ნიშანი**: მიზან-მოზანენ, მიზან-მოზანენს, მიშრ-მოშრებიან;

(თ5) იკარგება **კაუზაციის სუფიქსური ნიშნები**: მიაწერ-მოაწერინებს, მიაშლ-მოაშლევინებს.

II. უდევისო რთული სიტყვები

1. თუ რთულ სიტყვაში [გვაქვს] **ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი**, ან **არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი** თანამიმდევრობა შეიძლება სხვა სიტყვის მსაზღვრელადაც იქნეს გამოყენებული, მათ შორის დევისი არ დაიწერება:

(ა) **ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი:** ავსული, ავგული, შავგული...

(ბ) **არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი:** გულშავი, გულავი, სულავი...

ა და ბ კომბინაციებით მიღებული რთული სიტყვები მსაზღვრელბადაც შეიძლება გამოვიყენოთ და, მეორე მხრით, შესაძლებელია მათი გასუბსტანტივებაც.

(გ) ა ტიპის რთული სიტყვა მსაზღვრელია: „**ავსული** დედაბერი მოკვდა“, „**ავგული** კაცი გადაიკარგა“...

(დ) ბ ტიპის რთული სიტყვა მსაზღვრელია: „**სულავი** დედაბერი მოკვდა“, „**გულავი** კაცი გადაიკარგა“...

(ე) ა და ბ ტიპის რთული სიტყვა გასუბსტანტივებულია: „**ავსული ავგულს** ბოროტებაში არ ჩამორჩება“.

თუ ზემოთ აღწერილი კავშირი რთული სიტყვისა რეალურ საზღვრულთან (ა და ბ შემთხვევები) მოიშალა, რთული სიტყვა დაიშლება დამოუკიდებელ სიტყვებად: „**ავი სული** ჯოჯოხეთში მოხვდება“.

განსხვავებით „ავსული დედაბერი“ შესიტყვებისაგან, „ავი სული“ **ჩაკეტილი მსაზღვრელ-საზღვრულია**.

1. **არსებითი სახელი + მიმღეობა.** ზედსართავი სახელის ტიპის ურთიერთობა უყალიბდება **პოსტპოზიციურ** მიმღეობას არსებით სახელთან: **არსებითი სახელი + მიმღეობა** მაშინ ქმნიან **უდეფისო** რთულ სიტყვას, როცა მისი გამოყენება სხვა სიტყვის მსაზღვრელბადაც შეიძლება:

ხელგაშლილი კაცი, **გულდამამიღებული** ადამიანი, **პირგამშრალი** მოგზაური.

ამ ტიპის რთულ სიტყვებს პასიური მიმღეობები ქმნიან (გამონაკლისის სახით შეიძლება თითო-ოროლა მოქმედებითი გვარის მიმღეობაც შეგვხვდეს, მაგალითად: **ხელდამსხმელი**).

პრეპოზიციაში, როგორც წესი, ეს მიმღეობები დამოუკიდებელი მსაზღვრელებია და **ცალკე იწერება:**

2. **გაშლილი** ხელი, **დამამიღებული** გული, **გამთხარი** გული... რთული უდეფისო სიტყვის (არსებითი სახ. + მიმღეობა) გასუბსტანტივებაც არის შესაძლებელი: „**ხელგაშლილი** ძუნწს ვერ აიტანს“.

3. **რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი.** რთულ სიტყვებში რიცხვითი სახელი **მხოლოდ** პრეპოზიციაში გვხვდება და არსებით სახელთან ერთად იწერება **უდეფისოდ**, როცა მსაზღვრულად მოემართება არსებით სახელთან ერთად სხვა სახელს: **ა) ერთგული** კაცი, **ორპირი** ადამიანი, **სამკაპი** ხე, **სამწვერი** ძაფი...

ბ) ორკეცი ძაფი, **სამგვარი** ხერხი, **სამგზისი** ცდა...

-კეცი, -გვარი, -გზისი დამოუკიდებლად აღნიშნული მნიშვნელობით არ იხმარება.

თუ **ა** ტიპის რთულ სიტყვას საზღვრული არ ევარაუდება, ის დაიშლება შემადგენელ კომპონენტებად და ცალ-ცალკე დაიწერება: „**ორი გული** ჰქონდა კვერცხს“, „**ორი პირი** აქვს ზოგ ჭიას“, „**სამი კაპი** ჰქონდა ხეს“.

ეს რიცხვითი სახელები მხოლოდ უშუალოდ მოდევნო არსებით სახელებს მიემართებიან.

4. **ნაცვალსახელი + არსებითი სახელი.** ნაცვალსახელებიდან რთულ სიტყვებში მონაწილეობენ პოსტპოზიციური კუთვნილებითი ნაცვალსახელები: **-ჩემი, -შენი, -მისი; -ჩვენი, -თქვენი: დედაჩემი, ბებიაჩემი, მამაჩემი... დეიდაშენი, ბიძაშენი, პაპაშენი // ბაბუაშენი... მამიდამისი, პეპერამისი, დიდედამისი... დედაჩვენი, მამათქვენი, დეიდათქვენი...**

კუთვნილებითნაცვალსახელიანი რთული სიტყვები იქმნება **წინა თაობის** ნათესაობის სახელებთან. **პრეპოზიციაში** ეს ნაცვალსახელები დამოუკიდებლად იწერება: **ჩემი პაპა, შენი ბებიდა, ჩვენი დიდედა, მისი დეიდა...**

5. თუ რთულ სიტყვაში სუბსტანტიურ მსაზღვრელს საზღვრულად მოსდევს **სახელი** ან **მასდარი**, ანდა **მიმღეობა**, დაიწერება უდეფისოდ: **გულისხმა, გულისცემა, გულისნადები...**¹

¹ რეკლიკა ქართული ენის განმარტებით და ორთოგრაფიულ ლექსიკონებს:

თუ ერთად უნდა ვწეროთ **გულისცემა, გულისთქმა, გულისტკენა...** რატომ უნდა დაიწეროს ცალ-ცალკე **გულის მოსვლა, გულის ფხანა, გულის მგერა?** (ეს განსხვავება არის ორთოგრაფიულ ლექსიკონში); ანდა რატომ უნდა ვწეროთ დეფისით **თავვისფერი**, როცა

6. **დერივატიულ აფიქსთა დართვისას კომპოზიტი დეფისს კარგავს:** წვერ-ულვაში – წვერულვაშიანი, ქმარ-შვილი – უქმარშვილო, მშვილდ-კაპარჭი – მშვილდკაპარჭოსანი...

7. წარმოქმნის ელემენტთა დართვით ცალ-ცალკე მდგომი **პრეპოზიციური მსაზღვრელი** და **მისი საზღვრული** უდეფისო რთულ სიტყვად მოიქცევა:

- თეთრი დროშა – **უთეთრდროშო**
- მაღალი მთები – **მაღალმთებიანი**
- მცირე ხელფასი – **მცირეხელფასიანი**

ეს რთული სიტყვები მსაზღვრელებად მიემართებიან სხვა სიტყვას: უთეთრდროშო **ასეული**, მაღალმთებიანი **ადგილი**, მცირეხელფასიანი **მუშაკი**...

უდეფისოდ არის წარმოდგენილი **ცხვრისფერი?**... (ეს სხვაობანი განმარტებითი ლექსიკონიდანაა).

P.S. ისეთი გამონაკლისები ზოგადი წესიდან, როგორიცაა: **დედ-მამა** (მდრ.: დედა-შვილი, დედა-დეიდა...) და **მაღალ-მაღალი**, **პატარ-პატარა** (მდრ. კობტა-კობტა, მცირე-მცირე, სუფთა-სუფთა...) გამოვლინდება მუშაობის დროს და შეიქმნება „გამონაკლისთა ბაზა“.